CASE CAUCASUS ACADEMY OF SECURITY EXPERTS

CASE BRIEF REPORT #4

მაისის გამოცემა

ანგარიშში იხილავთ:

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში
"BALTOPS 16" და მისი სამომავლო შედეგები
ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარი

ნიკოლოზ ხატიაშვილი
გიორგი რობაქიძე
თათია მოსიძე

სარჩევი

მაისის გამოცემა	1
“ისლამური სახელმწიფო” ლიბიაში	3
"BALTOPS 16" და მისი სამომავლო შედეგები	8
ნატო-ს	11
რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარი	11
გამოყენებული წყაროები:	15
აკადემიის შესახებ	16

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში

ლიბია, ქვეყანა რომელიც მუამარ კადაფის მმართველობის დროს ითვლებოდა ტერორიზმის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებელად, 2011 წლის რევოლუციის და კადაფის მმართველობის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ქვეყანა სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფების დაპირისპირების ეპიცენტრად იქცა. ლიბიაში სამოქალაქო ომი კვლავ გრძელდება. არ არსებობს ერთიანი მთავრობა რომელიც უზრუნველყოფს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წესრიგის დამყარებასა და მოსახლეობისათვის განვითარების მეტნაკლებად ნორმალური პირობების შექმნას.

2011 წელს ლიბიაში ერთადერთ ლეგიტიმურ მმართველ ძალად თავი დროებითმა გარდამავალმა ეროვნულმა საბჭომ (THE INTERIM TRANSITIONAL NATIONAL COUNCIL) გამოაცხადა. ის ასევე აღიარებული იქნა დასავლეთის მიერ. საბჭოს ლეგიტიმურობა იყო შეზღუდული ვინაიდან ბევრი ლიბიელი არ ეთანხმებოდა მათ გადაწყვეტილებებს და უკმაყოფილო იყო მმართველობით. ამასთნავე, საბჭო ვერ ახორციელებდა ლიბიის ტერიტორიის სრულ კონტროლს.

2012 წელს, ივლისში, ლიბიაში ჩატარდა პირველი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა ერთიანი პარლამენტის და მთავრობის ფორმირება. 2014 წელს სამოქალაქო ომი ლიბიაში კიდევ უფრო გამწვავდა, მას შემდეგ რაც ერთმანეთს ტრიპოლში მდებარე General National Congress (GNC) და მასთან დაკავშირებული ისლამისტური დაჯგუფებები დაუპირისპირდნენ ტობრუკში მდებარე House of Representatives (HoR) და მის სეკულარულ თემთა გაერთიანებულ დაჯგუფებებს. გაერო

ცდილობდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული უთანხმოებების აღმოფხვრას. სწორედ ამ მიზნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შესთავაზა მათ შეექმნათ ერთიანი მთავრობა. ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა ვინაიდან GNC-სი ეწინააღმდეგება მუამარ კადაფის მთავრობის ყოფილი წევრების კვლავ დაბრუნებას მთავრობაში, ხოლო HoR-ი კი ექვს გამოთქვამს GNC-ის დემოკრატიული რეფორმების სურვილის თაობაზე. გარდა ამისა, საბჭო ადანაშაულებს მათ ლიბიაში მოქმედ ისლამისტურ დაჯგუფებებთან თანამშრომლობაში.

ქვეყანაში არსებული სამოქალაქო ომით და პოლიტიკური ქაოსით სარგებლობს "ისლამური სახელწიფო" რომელიც ცდილობს ლიბიაში თავისი გავლენა გააძლიეროს და სირიასა და ერაყში სრული მარცხის შემთხვევაში სწორად ლიბიაში შექმნას მთავარი ცენტრი.

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში

ლიბია იქცა თავშესაფარად "ისლამური სახელმწიფოსთვის", "ალ-ქაედასთვის" და სხვა სალაფიტურ-ჯიფადისტური დაჯგუფებებისთვის, რომლებიც ქვეყნას იყენებენ ტერორისტების მომზადებისთვის. "ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში განსკუთრებით გაძლიერდა ბოლო პერიოდში და წარმოადგენს დიდ საფრთხეს არა მხოლოდ ლიბიისთვის, არამედ მთელი ჩრდილო აფრიკასა და ხმელთაშუაზღვის რეგიონისთვის. ლიბია არის საკვანძო ადგილი, რადგან მასზე გადის კრიტიკული მნიშვნელობის ტრანსპორტირების გზები. ტერორისტული დაჯგუფება ხმელთაშუაზღვის სანაპიროს, აქტიურად იყენებს მებრძოლების ევროპაში გასაგზავნათ, სამომავლო ტერაქტების დაგეგმვისათვის.

რა მიზანი აქვს ISIS-ს ლიბიაში? დაჯგუფების უმთავრეს მოტივაციას წარმოადგენს:

- ხელი შეუშალოს ლიბიის ერთიანი მთავრობის ფორმირებას;
- გააკონტროლოს ტერიტორია ადგილობრივი დაჯგუფებების დამორჩილებით ან მათი მასთან შეერთებით;
- ლიბიის ნავთობ ინფრასტრუქტურის კონტროლი;

შეიძლება ითქვას, რომ ISIS-ის ტაქტიკა ლიბიაში სირიასა და ერაყში გამოყენებული ტაქტიკისგან არ განსხვავდება. ასიმეტრიული ბრძოლა, ადგილობრივი და საერთაშორისო მედია პროპაგანდა, ოპოზიციური ლიდერების მოშორება, ადგილობრივი რელიგიური ფიგურების გამოყენება, სისასტიკით მოსახლეობისთვის თავისუფლების შეზღუდვა.

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიის ბაზას ტუნისზე თავდასხმებისათვის იყენებს. მაგ: ტერაქტები ბარდო (Bardo) მუზეუმსა და სასტუმრო Sousse-ში ლიბიის ბაზაზე გაწვრთნილი ტერორისტების მიერ იქნა განხორციელებული.

გარდა ამისა, 2015 წლის ზაფხულიდან, მას შემდეგ რაც "ისლამურმა სახელმწიფომ" ფეხი მყარად მოიკიდა ქალაქ სირტში მოკლე დროში მოახდინა საკუთრი მთავრობის სისტემის ინსტიტუციონალიზება , მათ შორის სასამართლოსი, განათლების სისტემისა და პოლიციის. არსებობს მოსაზრება რომ ISIS-ის წამყვანი ძალა ამ ეტაპზე სწორედ ლიბიაშია.

მნიშნელოვანია ის წინაპირობები რამაც ხელი შეუწყო "ისლამური სახელმწიფოს" "აყვავებას" ლიბიაში და როგორ მოახერხა ISIS-მა გამხდარიყო ასეთი ძლიერი ლიბიაში? მას შემდეგ რაც 2011 წელს კადაფის რეჟიმი დაემხო ქვეყანაში სხვა და სხვა სამხედრო დაჯგუფებების დაპირისპირება დაიწყო. არ არსებობდა ინსტიტუტები, გამართული პოლიტიკური სისტემა, იყო სრული ქაოსი, რითაც ისარგებლა ტერორისტულმა დაჯგუფება- "ისლამურმა სახელმწიფომ". ძირითადად რამაც განაპირობა ასეთი სიძლიერით ISIS-ის არსებობა ლიბიაში არის ორი ფაქტორი:

• პრო "ალ-ქაედური" განწყობის დაჯგუფებების არსებობა;

• ექსტრემისტი მებრძოლები ტუნისიდან;

აღმოსავლეთ ლიბიაში მდებარე ქალაქი დერნა 1980 წლიდან პრო "ალ-ქაედას" ჯიჰადისტების დასაყრდენ ადგილად ითვლება, საიდანაც 2003 წლიდან აქტიურად გზავნიდნენ ჯიჰადისტებს ერაყში. კადაფის დამხობის შემდეგ დერნაზე კონტროლს ახორციელებს პრო "ალ-ქაედური" დაჯგუფება "ანსარ ალ-შარია" ლიბიაში (ASL). 2014 წელს ASL-მა ISIS-თან დაკავშირება გადაწყვიტა და გარკვეული პერიოდი "ისლამური სახელმწიფოს" მნიშნელოვანი ძალა სწორედ ქალაქ დერნაში იყო მობილიზებული, თუმცა 2015 წლის ივლისიდან ASL-ი გაემიჯნა ISIS-ს. მიუხედავად ამისა, "ისლამურმა სახელმწიფომ" მალე ნახა სხვა ქალაქი სადაც ამ დრომდე სრულ კონტროლს ახორციელებს, კერძოდ: კადაფის ყოფილი დასაყრდენი ქალაქი სირტე (Sirte), ასევე სხვა ადგილებიც მაგ: ბანი ვალიდ (Bani Walid) განლაგებული ტრიპოლსა და სირტეს შორის. სხვადასხვა წყაროების თანახმად ქალაქს ტერორისტული დაჯგუფება აქტიურად იყენებს, როგორც მებრძოლების თავშესაფრად ასევე მათ დასავლეთში გადასაყვანად. მნიშნელოვანია ის ფაქტი, რომ 2015 წლის ზაფხულიდან ISIS-ის მხარდამჭერთა რაოდენმა გაიზარდა.

ლიბიაში "ისლამური სახელმწიფოს" ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ტუნისელმა ჯიჰადისტებმა შეასრულეს. მათი ასეთი დიდი რაოდენობა განპირობებულია არა მხოლოდ ლიბიის უსაფრთხოების ძალების სისუსტით მათ საზღვარზე, არამედ ტუნისელი ჯიჰადისტების სურვილით შეუერთდნენ დაჯგუფებას. განსაკუთრებით მაღალია მათი რიცხვი ტუნისის სამხრეთ ქალაქებიდან, რომლებიც ტუნისი-ლიბიის საზღვრებთან მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე 2016 წლის 19 თებერვალს ამერიკის საჰაერო ძალებმა განახორციელეს შეტევა ქ.საბრატაზე (Sabratha). პენტაგონის განცხადებით, მათი სამიზნე ტუნისელი ეროვნების Noureddie Chouchane იყო. ამ შეტევის შედეგად განადგურდა არა მხოლოდ სამიზნე ობიექტი, არამედ სხვა ტუნისელი ექსტრემისტებიც. სწორედ ამ

შეტევის შემდეგ გახდა ნათელი, რომ ქ.საბრატაში იყო მობილიზებული ძირითადი სახმელეთო ძალები და ბაზა ტუნისის შიგნით თავდასხმების განხორციელებისათვის. ასევე გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ საბრატა გამოყენებული იყო კორიდორორად ლიბიაში ტუნისელი მებრძოლების გადასასვლელად. ტუნისელი მებრძოლების ფაქტორი დიდია არა მხოლოდ ლიბიაში, არამედ როგორც ცნობილია ტუნისს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს უცხოელი მებრძოლების რაოდენობით სირიასა და ერაყში. მნიშნელოვანია ის გარემოება, რომ მათი როლი ლიბიაში სულ უფრო იზრდება. კერძოდ: ისინი მონაწილეობას იღებენ ორგანიზაციის მართვაში, ასევე ბევრი მათგანი არის თვითმკვლელი ტერორისტი.



მიუხედავად იმისა, რომ "ისლამური სახელმწიფო" ტერიტორიებს კარგავს სირიასა და ერაყში, ლიბიაში მან შეძლო სტრატეგიული მნიშნელობის ტერიტორიების დაკავება. ტელეგრაფის მიხედვით 2000 მებრძოლი მისრატას (Misrata) პორტიდან აბუგრეინში (Abugrein), სირტეს დასავლეთით განლაგდა. აშშ-ს სადაზვერვო სააგენტოს ინფორმაციის თანახმად "ისლამურ სახელმწიფოს" სირტეში 6000 შეიარაღებული მებრძოლი ჰყავს, რომლებიც შარიათის კანონებს ავრცელებენ და მთლიანად აკონტროლებენ ტერიტორიას. სულ ცოტა 49 ადამიანი იქნა სიკვდილით დასჯილი ISIS-ის მიერ 2015 წლის თებერვლიდან 2016 წლის თებერვლის პერიოდში. მარტო 2016 წლის იანვარში "ავტო-ბომბის" აფეთქებას 60 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მნიშვნელოვანია, რომ "ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში ორგანიზებულ და მრავალმხრივ შეტევას ახორციელებს ნავთობის ინფრასტუქტურების წინააღმდეგ. თავდასხმები 2016 წლის 4 იანვრის შემდეგ აქტიურ ფაზაში შევიდა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დაჯგუფება ერაყსა და სირიაში ტერიტორიების დაკარგვასთან ერთად შემოსავლის ერთ-ერთი წამყვან რესურსს ნავთობს იმ რაოდენობით ვეღარ იყენებს შავ ბაზარზე სავაჭროდ როგორც ადრე. ეს ასევე

განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აშშ-ს მიერ ფორმირებული კოალიციის საჰაერო შეტევების შედეგად მიზანმიმართულად ნადგურდება სწორედ "ისლამური სახელმწიფოსთვის" კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნავთობის ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში თუ ISIS-ი მოახერხებს კონტროლის დამყარებას ლიბიაში არსებულ ნავთობზე, მას კვლავ ექნება ნავთობ რესურსის დიდი მარაგი, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება დაჯგუფების ფინანსურ გაძლიერებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე საერთაშორისო დონეზე ლიბიაში სიტუაციის გაუმჯობესების მხრივ პასიურობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მოხდა გაერთიანებული მთავრობის ფორმირება, მასზე იმედის დამყარება არ შეიძლება, რადგან იმდენად განსხვავებული სამხედრო დაჯგუფებები შევიდა გაერთიანებაში, რომ ფორმირების მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობს მოლაპარაკება დიდი ბრიტანეთის მხრიდან სახმელეთო ჯარების შეყვანაზე ლიბიაში, საერთაშორისო მანდატის ფარგლებში, თუმცა ამ ეტაპამდე კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული. მაშინ როდესაც ტერორიზმთან ბრძოლა გრძელვადიან სტრატეგიას მოითხოვს, საერთაშორისო დონეზე უფრო გააქტიურებაა საქირო.

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიის ბაზას რეგიონში არეულობისთვის და ევროპაში შესაძლო დარტყმებისთვის გამოიყენებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხმელთაშუაზღვიდან მიგრანტთა ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ლიბიიდანაა. მიგრანტებს შორის, რომ ბევრი შენიღბული ტერორისტია ეს უკვე არაერთხელ დადასტურდა.

ლიბიაში "ისლამური სახელმწიფოს" გაძლიერება განაპირობა ასევე იმ გარემოებამ, რომ დაჯგუფების მმართველი რგოლი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ლიბიას. კერძოდ: ISIS-მა 2014 წელს სირიიდან 300 ლიბანელი მებრძოლი გააგზავნა ლიბიაში ახალი ფილიალის შესაქმნელად. ამით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა დაჯგუფების მხრიდან, აკონტროლოს რაც შეიძლება მეტი ტერიტორია. განსაკუთრებით 2015 წელს გაძლიერდა ლიბიაში ISIS-ის ბაზა. ხდება ადამიანების სახალხოდ სიკვდილით დასჯა (21 ეგვიპტელი ქრისტიანისთვის თავის მოკვეთა).

ის ფაქტი, რომ ISIS-მა ლიბია უკვე გამოიყენა მხარდამჭერ ბაზად ტერაქტებისათვის ტუნისის ტურისტულ ადგილებში და ჩრდილო აფრიკაში, ფოკუსირება პროპაგანდაზე, არის წინაპირობა იმის, რომ "ისლამური სახელმწიფო" ორიენტირებულია სწორედ ამ რეგიონზე და სურს მეტი რეკრუტირების განხორციელება, მეზობელი ტუნისიდან, ეგვიპტიდან, ალჟირიდან. ასევე მაგრებისა (Maghreb) და საჰელის (Sahel) რეგიონებიდან.

გიორგი რობაქიძე

თათია მოსიძე

"BALTOPS 16" და მისი სამომავლო შედეგები

მიმდინარე წლის 3 ივნისს სტარტი აიღო ბალტიისპირეთში ბოლო წლების განმავლობაში ნატო-ს ყველაზე მასშტაბურმა სამხედრო საზღვაო წვრთნებმა - "BALTOPS 16". BALTOPS-ი წარმოადგენს ყოველწლიურ მაღალპროფილურ სამხედრო ღონისძიებას, რომელიც პირველად 1971 წელს, ცივი ომის დროს, აშშ-ს ევროპის საზღვაო ძალების მიერ ჩატარდა. წვრთნების მიზანი ცივი ომის შემდეგ შეიცვალა. ამ ეტაპზე წვრთნების მთავარი ამოცანაა ისეთ საზღვაო საფრთხეებზე მუშაობა, როგორიც არის საზღვაო ტერორიზმისა და მეკობრეობის აღკვეთა, საძიებო და სამაშველო ოპერაციები და სამხედრო-საზღვაო დახმარება სამოქალაქო უწყებებისთვის. 2016 წლის წვრთნებს ნატო იყენებს ბალტიისპირეთის რეგიონში თავისი წარმომადგენლობისა და სამხედრო შესაძლებლობების დემონსტრირებისთვის.

სამხედრო წვრთნებში - "BALTOPS 16" - 17 მონაწილე ქვეყნიდან ჩართულია დაახლოებით 6000 ათასი სამხედრო, 45 საბრძოლო და წყალქვეშა გემი და 60 თვითმფრინავი. ნატო-ს წევრების გარდა, ამ ღონისძიებაში მონაწილეობს ფინეთი და შვედეთი, როგორც ნატო-ს პარტნიორი ქვეყნები. ისინი სარგებლობენ სრულფასოვანი მონაწილის სტატუსით და "BALTOPS 16"-ში მონაწილეობას მიიჩნევენ აშშ-სა და ნატო-სთან ურთიერთობის გაღრმავების მნიშვნელოვან ელემენტად.

აღსანიშნავია, რომ წვრთნები დაიწყო ნატო-ს ვარშავის სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე და სავარაუდოდ, რუსეთიდან ბალტიის რეგიონში მომდინარე ახალი საფრთხეების საპასუხოდ განხორციელდა. ბალტიისპირეთში არსებული უსაფრთხოების დონე გაუარესდა უკრაინის კრიზისის დაწყების შემდეგ. რეგიონთან დაკავშირებით რუსეთსა და ნატო-ს შორის პირდაპირი რიტორიკა ხორციელდება. ამასთან, ერთმანეთის ახლოს სახიფათოდ მობილიზებულია მათი საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალები.

წლევანდელი "BALTOPS 16"-ის წვრთნების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია წყალქვეშა ომი, სადესანტო დაშვება, სახმელეთო ომი და საზღვაო ნაღმების განლაგება ჰაერიდან. ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის წყალქვეშა ნავები არაერთხელ იყვნენ

შემჩნეულები შვედეთისა და ფინეთის ტერიტორიულ წყლებში. აქედან გამომდინარე, ნატო-ს ინტერესებშია ბალტიისპირეთის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო პოტენციალის ამაღლება. აღნიშნული წვრთნები ზრდის ნატო-ს საზღვაო ძალების სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას, თუმცა ბალტიის ქვეყნები კვლავ ექვის ქვეშ აყენებენ მათ სამხედრო-საზღვაო პოტენციალს, განსაკუთრებით კი ომისა და კრიზისის პირობებში.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ წვრთნების პერიოდში აშშ-მ თავისი სტრატეგიული ბომბდამშენი B-52 გამოიყენა, რითაც მოქმედებაში მისი ეფექტურობისა და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში სწრაფი რეაგირების შესაძლებლობაზე გააკეთა აქცენტი. ამავდროულად, ეს იყო პოლიტიკური გზავნილი, რომ მათი სტრატეგიული ბომბდამშენი მსოფლიოში ძალიან მოთხოვნადია.

მიმდინარე წლის აპრილში, რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავები დაახლოებით 40-ჯერ მიუახლოვდნენ ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებს. რამდენიმე მოიერიშემ ათეული მეტრის დაშორებით ჩაუფრინა აშშ-ს ავიაგამანადგურებლებს. მსგავსი ინციდენტები დაფიქსირდა სადაზვერვო თვითმფრინავების მიმართაც, როდესაც ისინი ბალტიის ზღვის მიდამოებში სადაზვერვო ფრენებს ახორციელებდნენ. ანალოგიურ ფაქტებს შესაძლოა მოჰყვეს გარკვეული ესკალაცია ნატო-სა და რუსეთს შორის, რადგან არ არსებობს პროტოკოლით განსაზღვრული ურთიერთობის წესები მსგავსი ინციდენტების მოსაგვარებლად. ეს გარემოება გახდა შეშფოთების საგანი ნატო-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, რასაც მოჰყვა გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯები რუსეთთან დიალოგის გასაახლებლად.

2015 წლის ნოემბრის მოვლენების დროს, როდესაც აშშ-სა და რუსეთს შორის სირიის კონფლიქტის დეესკალაციისკენ ერთობლივი ნაბიჯები გადაიდგა, ნათელი

გახდა, რომ შესაძლებელია მსგავსი დიალოგი, თუმცა ნატო-რუსეთის შემთხვევაში ეს რთული განსასაზღვრია.

ბალტიის რეგიონში რუსეთსა და ნატო-ს შორის დაძაბული ვითარება, სავარაუდოდ, კვლავ გაგრძელდება, რაც გამოიწვევს რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის კიდევ უფრო გაძლიერებას აღნიშნული რეგიონის მიმართულებით. ისეთი საზღვაო წვრთნები, როგორიც არის "BALTOPS" უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს, რაც გაამყარებს ნატო-ს პოზიციებს რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს გავლენის მოპოვებას ბალტიის რეგიონის ქვეყნებზე. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მოსალოდნელია ბალტიისპირეთის

სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო შესაძლებლობების ზრდა, განსაკუთრებით კი წყალქვეშა და საზღვაო-საჰაერო თავდაცვის სისტემების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პირველ რიგში უნდა დავასკვნათ, რომ ბალტიისპირეთში დასავლეთის სარაკეტო თავდაცვის სისტემების განვითარება და რუმინეთში ანტისარაკეტო ფარის განთავსება, რთულს გახდის ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და რუსეთის თანამშრომლობას შეიარაღებაზე კონტროლის კუთხით. ამასთან, პოლონეთის სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამა გაზრდის მის შესაძლებლობებს და მოავლენს მას უსაფრთხოების მნიშვნელოვან კონტრიბუტორად ბალტიის ქვეყნებს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში წინასაარჩევნო პერიოდია და უცნობია თუ რომელი პარტიის პრეზიდენტი მოვა ქვეყნის სათავეში, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ნაკლებად სავარაუდოა, ვაშინგტონმა დაამტკიცოს თავისი სამხედრო წარმომადგენლობა ბალტიისპირეთში.

ნიკოლოზ ხატიაშვილი

ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარი

12 მაისს, რუმინეთში ფუნქციონირება დაიწყო ნატო-ს (აშშ-ის) Aegis-ის ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის სისტემის სახმელეთო კომპონენტმა, რომელიც შედგება SPY-1D რადარისგან და 24 ერთეული SM-3 ტიპის რაკეტა-გადამჭერბისგან, რომელთა უმთავრეს ფუნქციასაც წარმოადგენს ალიანსის წევრი ქვეყნების დაცვა საშუალი და მცირე სიშორის ბალისტიკური რაკეტებისგან. პარალელურად, პოლონეთში დაიწყო ანალოგიური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომლის დასრულებაც და საბრძოლო მორიგეობაზე დადგომა იგეგმება 2018 წელს. ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მოწყობის გეგმებისა და მისი განხორციელების გრაფიკის შესახებ ინფორმაცია ცნობილია 2009 წლიდან. მიუხედავად ამისა, Aegis-ის ორი უმთავრესი სახმელეთო კომპონენტიდან ერთის ოფიციალურად გახსნის, ხოლო მეორის მშენებლობის დაწყების გამო რუსეთმა ალიანსი კვლავ პირველი ბირთვული დარტყმის უპირატესობის მოპოვების მცდელობასა და სტრატეგიული ბირთვული ბალანსის დარღვევაში დაადანაშაულა.

ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსების იდეა გაჩნდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, როცა აშშ-მა დაინახა ბალისტიკური რაკეტებისგან თავდაცვის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, 2002 წელს აშშ გამოვიდა 1972 წელს საბჭოთა კავშირთან გაფორმებული ანტი-ბალისტიკური შეთანხმებიდან, რომლითაც ბირთვული შეკავების სისტემის უზრუნველსაყოფად, იზღუდებოდა რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების შექმნა/განვითარება. ვაშინგტონის გადაწყვეტილებას საწყის ეტაპზევე მოჰყვა მოსკოვის პროტესტი, ხოლო აშშ-ის მიერ მსგავსი სისტემების ევროპის კონტინენტზე,

ნატო-ს ფარგლებში განთავსების იდეის გაჟღერების შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაიზარდა. აღნიშნული ჩამოყალიბდა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემურ საკითხად ალიანსისა და რუსეთის ურთიერთობებში. 2009 წელს აშშ-ის ახალი პრეზიდენტი შეეცადა რუსეთის წინააღმდეგობის შემცირებას და ცვლილებები შეიტანა არსებულ გეგმებში, თუმცა შინაარსი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და შესაბამისად, შენარჩუნდა კრემლის ნეგატიური დამოკიდებულებაც.

ბარაკ ობამას მიერ წარმოდგენილი „ევროპული ეტაპობრივი ადაპტირებული მიდგომა“ (EPAA) ითვალისწინებდა სახმელეთო ბაზირების რაკეტების ნაწილის საზღვაო ბაზირების რაკეტებით ჩანაცვლებას და იდეის 4 ფაზად განვითარებას. მათ შორის, პირველი ფაზის ფარგლებში, 2011 წელს სარაკეტო თავდასხმის ადრეული გაფრთხილების რადარი განთავსდა თურქეთში, ხოლო მართვის პუნქტი შეიქმნა გერმანიაში, აშშ-ის რამშტეინის საჰაერო ბაზაზე. მეორე ფაზა წარმატებით დასრულდა მიმდინარე წლის მაისში, როცა გაიხსნა Aegis-ის სისტემის სახმელეთო კომპონენტი რუმინეთში, ხოლო მესამე ფაზა პოლონეთში ანალოგიური სამხედრო ბაზის გახსნით 2018 წელს დასრულდება. მეოთხე ფაზა ითვალისწინებდა სისტემის უახლესი თაობის ანტი-ბალისტიკური რაკეტებით გადაიარაღებას, თუმცა 2013 წელს რუსეთის წინააღმდეგობის შემცირებისა და ფინანსური პრობლემების გამო, ვაშინგტონმა ფაზის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. გარდა ამისა, ხმელთაშუა ზღვაში, ესპანეთის სანაპიროსთან მუდმივ მორიგეობაზე დადგა Aegis-ის სისტემის გამშვებებით აღჭურვილი რამდენიმე საბრძოლო ხომალდი.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მეორე ფაზის დასრულებამ გამოიწვია საკითხის აქტუალიზაცია და რუსეთმა გააჟღერა რიგი ბრალდებები ნატო-სა და აშშ-ის წინააღმდეგ. მათ შორის, კრემლმა ვაშინგტონი დაადანაშაულა 1987 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების დარღვევაში, რომლითაც იკრძალება სახმელეთო ბაზირების საშუალო და მცირე სიშორის ბალისტიკური რაკეტების (500-დან 5.500 კმ-მდე) წარმოება და გაშლა. კერძოდ, რუსეთის შეფასებით, დასავლეთის მტკიცების მიუხედავად, რუმინეთში ბაზირებული MK-41 ვერტიკალური გამშვები სისტემა მრავალფუნქციურია და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც რაკეტა-გადამჭერების, ასევე დამრტყმელი, მათ შორის „ტომაჰავკის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების გასაშვებად, რაც არღვევს 1987 წლის ხელშეკრულებას. სწორედ ხსენებული ფაქტი წარმოადგენს სისტემის მიმართ რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულების უმთავრეს მიზეზს. კერძოდ, სხვადასხვა შეფასებით, SM-3-ებს არ აქვთ რუსეთის ბალისტიკური ბირთვული რაკეტების გადაჭერის შესაძლებლობა, თუმცა კრემლი შიშობს, რომ Aegis შესაძლოა გამოყენებულ იქნას რუსეთის შახტური ბაზირების ბირთვული არსენალის გასანადგურებლად, ანუ სისტემა თავდასხმით ხასიათს ატარებს. თავის მხრივ, ალიანსი უარყოფს სისტემის მრავალფუნქციურობას და ამტკიცებს, რომ იგი ცალსახად თავდაცვითია.

რუსეთი ეჭვქვეშ აყენებს Aegis სისტემის მოწყობის საჯაროდ გაჟღერებულ უმთავრეს არგუმენტს, რომლის მიხედვითაც რაკეტსაწინააღმდეგო ფარის ამოცანას წარმოადგენს ნატო-ს წევრი ქვეყნების დაცვა ირანის მცირე და საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტებისგან. მოსკოვი საწყის ეტაპზევე აფიქსირებდა, რომ ირანს გრძელვადიან პერსპექტივაში არ ექნებოდა ნატო-სთვის მსგავსი საფრთხის შექმნის რესურსი, ხოლო ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით 2015 წელს გაფორმებულმა შეთანხმებამ აღნიშნულის ალბათობა მინიმუმამდე შეამცირა. სწორედ ამიტომ, თეირანსა და ექვსეულს შორის ხელმოწერილი დოკუმენტის შემდეგ, კრემლმა განაცხადა, რომ Aegis სისტემის საქიროება დღის წესრიგიდან მოიხსნა და მოითხოვა ნატო-ს გეგმების გადახედვა, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, „ბირთვულმა შეთანხმებამ" კორექტირება ვერ შეიტანა თავდაპირველ სტრატეგიაში, რადგან ბირთვული პროგრამის შეჩერების მიუხედავად, ირანი კვლავ აქტიურად მუშაობას ბალისტიკური რაკეტების განვითარებაზე. შესაბამისად, ალიანსიც აგრძელებს Aegis სისტემის გეგმიურად მოწყობას.

ურთიერთშეუთავსებელი ინტერესები და რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას ფაქტობრივად გამორიცხავს. სწორედ ამიტომ, რუსეთი აქტიურად ემზადება Aegis-ის საპასუხო ზომების მისაღებად. მათ შორის, კრემლი ავითარებს სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ ძალებს - მუშაობს თანამედროვე რაკეტებზე, რომელებიც შეძლებენ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარის გადალახვას. გარდა ამისა, რუსეთმა შესაძლოა კალინინგრადის ოლქში განათავსოს „ისკანდერ-მ" ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები (შეუძლია მცირე სიშორის ბირთვულ-ქობინიანი რაკეტების გაშვება) და შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონში „კალიბრ-ნკ" და „კალიბრ-პლ" ტიპების სარაკეტო კომპლექსებით აღჭურვილი ხომალდების და წყალქვეშა ნავების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა (ფრთოსან რაკეტებს შეუძლიათ 2000 კმ-ზე მეტი მანძილით დაშორებული სამიზნეების განადგურება). ამავდროულად, Aegis-ის გამოყენებით რუსეთი ახდენს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებებზე სამხედრო შესაძლებლობების ზრდის ლეგიტიმაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე.



აღნიშნულის პარალელურად, რუსეთი ერთ-ერთ საპასუხო ნაბიჯად განიხილავს სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ მოლაპარაკებების შეწყვეტას. 2010 წელს რუსეთსა და აშშ-ს შორის გაფორმებული შეთანხმების New START მოქმედების ვადა იწურება 2018 წლისთვის, თუმცა მიმდინარე ეტაპზე

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარის მოწყობაზე პროტესტის ნიშნად რუსეთი უარს ამბობს ახალი ხელშეკრულების შესახებ კონსულტაციებზე. თავის მხრივ, აშშ დაინტერესებულია ახალი დოკუმენტის გაფორმებით და 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი შეეცდება აღნიშნულ საკითხზე მოსკოვთან საერთო ენის გამონახვას. არსებობს მოსაზრება, რომ აშშ-მა შესაძლოა უარი თქვას Aegis-ის მესამე ფაზის განხორციელებაზე - სახმელეთო კომპონენტის პოლონეთში განთავსებაზე, თუ რუსეთი დათანხმდება სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შესახებ ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია

გამოყენებული წყაროები:

"ისლამური სახელმწიფო" ლიბიაში:

http://www.criticalthreats.org/libya/estelle-zimmerman-backgrounder-fighting-forces-in-libya-march-3-2016

http://www.cfr.org/global/global-conflict-tracker/p32137#!/conflict/civil-war-in-libya

http://www.theatlantic.com/international/archive/2015/10/libya-gnc-civil-war/410179/

http://theconversation.com/five-years-after-gaddafis-fall-is-libya-any-closer-to-political-stability-57534

http://www.criticalthreats.org/libya/estelle-zimmerman-backgrounder-fighting-forces-in-libya-march-3-2016

http://www.criticalthreats.org/libya/coyne-estelle-gambhir-isis-campaign-in-libya-february-19-2016

http://www.newyorker.com/news/news-desk/isis-rises-in-libya

http://europe.newsweek.com/isis-has-doubled-its-ranks-libya-says-general-445536?rm=eu

http://europe.newsweek.com/isis-releases-photos-executions-and-floggings-libyas-sirte-440697

http://www.understandingwar.org/backgrounder/isis's-campaign-libya-january-4-february-19-2016

http://europe.newsweek.com/understanding-rise-islamic-state-isis-libya-437931?rm=eu

http://www.ibtimes.co.uk/isis-libya-colonel-gaddafis-henchmen-join-west-purge-isis-north-africa-1558834

"BALTOPS 16" და მისი სამომავლო შედეგები:

http://www.c6f.navy.mil/forces-efforts/baltops-2016

http://www.royalnavy.mod.uk/news-and-latest-activity/operations/arctic-and-northern-european-waters/exercise-baltops

http://www.airforcetimes.com/story/military/2016/06/09/b-52s-dropping-bombs-over-baltops-2016/85654242/

http://sputniknews.com/politics/20160606/1040865706/russia-nato-baltops-drills.html

http://www.af.mil/News/ArticleDisplay/tabid/223/Article/794229/minot-b-52s-begin-baltops-16-flying-ops.aspx

http://news.err.ee/v/news/ee3a5b53-c730-47db-9343-7f122e16e45c/international-naval-exercise-baltops-16-kicks-off-in-baltic-sea

https://news.usni.org/2016/06/01/highend_baltic_ex_message_to_russia

http://www.globalsecurity.org/military/ops/baltops.htm

http://www.nato.int/cps/en/natohq/news_120407.htm?selectedLocale=en

http://www.forsvarsmakten.se/en/news/2015/06/the-baltops-exercise-has-started/

ლოგო- http://kariuomene.kam.lt

ნატო-ს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი ფარი:

http://www.brookings.edu/blogs/order-from-chaos/posts/2016/06/02-missile-defense-russia-pifer?rssid=russia+and+eurasia

http://www.osw.waw.pl/en/publikacje/analyses/2016-05-18/romania-becomes-part-missile-defence-system

http://www.kommersant.ru/Doc/2984630

http://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR900/RR957/RAND_RR957.pdf

აკადემიის შესახებ

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!
უსაფრთხოების როგორც პროფესიის განვითარებისთვის!

სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები.

ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვაჩნია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავნერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღიურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამაღლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org